ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

## ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 10/06/2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 10/06/2020

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204429341 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ადგილობრივი თვითმმართველობა |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | საჯარო მმართველობის მაგისტრი 1109 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული, პროგრამა აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 21 თებერვლის #35 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ბერიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამამ აკრედიტაცია მიიღო 2018 წლის 21 თებერვალს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # 35).
პროგრამით გაწერილია პროგრამაზე მიღების წინაპირობები. პროგრამის სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე მიღწევები. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.
პროგრამა 120 კრედიტიანია:

პროგრამის კურიკულუმით 76 კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო არჩევით საგნებზე განაწილებული ჯამში 19 კრედიტიდან სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი საგანი/საგნები, რათა დააგროვონ 14 კრედიტი, სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა არჩევითი საგანი/საგნები, რომლებსაც არ გააჩნიათ დაშვების წინაპირობა). პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 30 კრედიტი.
პროგრამის კურიკულუმმა განიცადა ცვლილებები 2018 წლის აკრედიტაციის პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესაბამისად, და მასში ასახულ იქნა როგორც ექსპერტების ასევე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ესქპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. პროგრამის შემოწმება ცენტრის მიერ დაიგეგმა გეგმიური მონიტორინგის პირობებში. მონიტორინგის შემოწმების საფუძველია, აკრედიტაციის საბჭოს შეამდგომლობა პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების თაობაზე.
„ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ადგილობრივი თვიმმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის #417079 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი (ნინო ფარსადანიშვილი, თამარ ბერიშვილი).
ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა ადგილობრივი თვიმმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შემოწმება აკრედიტაციის პირველ, მეორე, 4.1 და 5.2. სტანდარტებთან. ექსპერთა ჯგუფის წევრებმა 2020 წლის 5 ივნისს ჩაატარეს მოსამზადებელი ონლაინ შეხვედრა დაწესებულებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროების საკითხის განსახილველად. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებიდან დამატებითი დოკუმენტაციის გამოთხოვის საჭიროება არ იყო. დასკვნის მომზადების

მიზნებისათვის შესწავლილ იქნა, პროგრამის კურიკულუმი და თანდართული სილაბუსები, პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციები, ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზის დოკუმენტი, აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმის მასალები და მმართველობის სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი - პროგრამაში რეკომენდაციების შესაბამისად განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა სრულად შესაბამისია პირველ, მეორე, მე-4.1 და მე-5.2 სტანდარტებთან

- **რეკომენდაციები**

**აკრედიტაციის ექსპერტებისა და საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები 2018 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით:**

**ექსპერტთა რეკომენდაციები:**

- სავალდებულო სასწავლო კურსების სიაში საჯარო ადმინისტრირების კურსის დამატება
- ინგლისური ენის სავალდებულო სასწავლო კურსების გადატანა არჩევით კურსებში
- პოლიტიკის ანალიზის კურსის სილაბუსის სწავლის შედეგების რედაქტირება
- სამართლის საფუძვლების ლიტერატურის განახლება
- ეკონომიკის პრინციპების სასწავლო კურსში ბლანშარის მაკროეკონომიკის დამატება

**აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:**

- პროგრამის მიზნების ცვლილება თემის ლიდერის ჩამოყალიბების ნაწილში
- საჯარო პოლიტიკის კურსის დამატება
- სოციალური პოლიტიკსი კურსის დამატება
- კვლევის მეთოდების კურსში თვისებრივი კვლევის მეთოდების ასახვა
- პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა
- სერვისების მიწოდების კურსებში კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. სწავლების ბალანსის დაცვა და ადგილობრივი მმართველობის კანონის შესაბამისად შესწორებების შეტანა

**2020 წლის 10 ივნისის მონიტორინგის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები:**

- სასურველია სასწავლო კურსს სამართლის საფუძვლები გაეზარდოს კრედიტების რაოდენობა, რადგან 4 კრედიტისთვის განკუთვნილი დრო არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა წარმატებით დაძლიონ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო თემები.
- სასურველია, ასევე გაიზარდოს აკადემიური წერისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა რადგან სტუდენტებს გაუჭირდებათ 2 კრედიტისთვის გამოყოფილ დროში სილაბუსით მოცული საკითხების საფუძვლიანი ათვისება.
- პრაქტიკული კომპონენტის თავისებურებებიდან გამომდინარე სასურველია, წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს ასევე მუნიციპალური სერვისების მართვის სასწავლო კურსიც, რადგან სტუდენტებისათვის მიცემული დავალებების დიდი წილი სწორედ მუნიციპალურ სერვისებს უკავშირდება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- საგულისხმოა, რომ მიღების წინაპირობებში არ არის მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები. სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებს დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი.
- სასურველია სამომავლოდ პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო საგნის უცხოენოვანი კომპონენტი, მაგ. საჯარო პოლიტიკის ანალიზი ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, რომ აქტიური შეხება ქონდეთ პროფესიულ ტერმინოლოგიასთან უცხო ენაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- 
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- გაზრდილია ძირითადი აკადემიური პერსონალის რაოდენობა, შესაბამისად შემცირებულია მოწვეულთა რიცხვი, რაც ადგილობრივი თვითთმართველობის სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ ბალანსს.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, მმართველობის სკოლის ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამით გაწერილი მიზნების შესაბამისად პროგრამა მიზნად ისახავს დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი საჯარო მმართველობის სპეციალისტების ჩამოყალიბებასა და მათ აღჭურვას პოლიტიკური თანამდებობის პირის, მენეჯერისა თუ საჯარო მოხელისთვის საჭირო იმ ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, რომლებიც აუცილებელია ეფექტური გადაწყვეტილების მიღების, არსებული რესურსების სწორად მართვისა და დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულების წარმატებულ მოღვაწეობას, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და წარმომადგენლობით ორგანოში, ასევე ცენტრალური მმართველობის დონეზე.<br><br>ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულად ასახავს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რაც უნდა გამოუმუშავდეთ კურსდამთავრებულებს პროგრამაზე სწავლის პერიოდში. პროგრამის მიზნები მიღწევადია და უზრუნველყოფს მაღალი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულების მომზადებას დარგის შემდგომი განვითარების ხელშესაწყობად, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული გადასახედიდან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** |
| **რეკომენდაციები:**<br><br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

- ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შესაბამისად, ხოლო სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგები თავის მხრივ თავსებადია პროგრამაში გაწერილ სწავლის შედეგებთან.

პროგრამაში ასევე გაწერილია შედეგებისა და მიზნების რუკა შესაბამისი აღწერილობით და იმ შედეგობრივი მიზნებით, რაზედაც გადის პროგრამა.

პროგრამაზე თანდართული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგების ფორმირება განხორციელდა სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით, რათა დაცული ყოფილიყო ბალანსი პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ და პრაქტიკულ ელემენტებს შორის და პროგრამა თავსებადი ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. შესაბამისად პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების სფეროში არსებულ მოთხოვნებს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოცემულია შესაბამისი საგნების სილაბუსებში.

პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ყველა იმ უნარს, რომელთა განვითარებასაც ემსახურება პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი, აღნიშნული დასტურდება თითოეული სასწავლო კურსის მიზნის შედარებით სასწავლო კურსის

| |
|---|
| შედეგებთან. პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები<br>• საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამის შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამით გაწერილია პროგრამაზე მიღების წინაპირობები, კერძოდ ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებსაც უკვე მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება ნებისმიერ სფეროში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართულებით. შესაბამისად ჩამოყალიბებულია ის აუცილებელი წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამაზე ჩაბარების მსურველი კანდიდატი რაც მოიცავს: 1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს ნებისმიერ სფეროში; 2. საერთო სამაგისტრო გამოცდების ზღვრის გადალახვას; 3. შიდა საუნივერსიტეტო პროცედურას (ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამაზე მიღების შიდასაუნივერსიტეტო<br>პროცედურა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას. ზეპირი გამოცდა სპეციალობაში, რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა არჩეულ დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა).<br>საგულისხმოა, რომ მიღების წინაპირობებში არ არის მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები. სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებს დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

○ სამაგისტრო პროგრამა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

საგულისხმოა, რომ მიღების წინაპირობებში არ არის მითითებული საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები. სასურველია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობებს დაემატოს შესაბამისი ჩანაწერი.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის კურიკულუმი შემუშავებულია, ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ფარგლებში გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესისა და პროცედურების შესაბამისად.

პროგრამით გაწერილია პროგრამაზე მიღების წინაპირობები. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია. ის აგებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა ეტაპობრივად მარტივიდან რთულის, ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე მიღწევები. პროგრამის სტრუქტურა და კონცეფცია განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე.

პროგრამა 120 კრედიტიანია:

პროგრამის კურიკულუმით 76 კრედიტი ეთმობა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო არჩევით საგნებზე განაწილებული ჯამში 19 კრედიტიდან სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ნებისმიერი საგანი/საგნები, რათა დააგროვონ 14 კრედიტი, სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა არჩევითი საგანი/საგნები, რომლებსაც არ გააჩნიათ დაშვების წინაპირობა). პროგრამა ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 30 კრედიტი.

ნიშანდობლივია, რომ პროგრამის კურიკულუმმა განიცადა ცვლილებები 2018 წლის პროგრამული აკრედიტაციის პერიოდში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესაბამისად, კერძოდ:

პროგრამის კურიკულუმში საჯარო ადმინისტრირების კურსის დამატების მხრივ პროგრამის კურიკულუმის ნაწილი გახდა სასწავლო კურსი ადგილობრივი თვითმმართველობა და საჯარო მმართველობა, რომელიც ფარავს სახელმწიფოს მოწყობის, საჯარო სექტორის ფუნქციონირების, საჯარო პოლიტიკის პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებს, და თანამედროვე გამოწვევებს, ასევე სტუდენტებს შეასწავლის ადმინისტრაციული რეფორმების საუკეთესო პრაქტიკას სხვადასხვა წარმატებული ქვეყნის მაგალითზე.

ასევე, სავალდებულო საგანების ნუსხაში შედის „საჯარო პოლიტიკის ანალიზი“, ხოლო არჩევით საგნად წარმოდგენილია „საჯარო და არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი“. კურიკულუმში ინტეგრირდა ახალი საგანი „რეგულირების გავლენის შეფასება“. ასევე, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, აირჩიონ სხვა სამაგისტრო პროგრამების საგნები საჯარო პოლიტიკის წარმოების მიმართულებით.

პროგრამის კურიკულუმის ფორმირებისას კურიკულუმიდან ამოღებულ იქნა ინგლისური ენის შემსწავლელი საგნები. თუმცა საჯარო მოხელეებისათვის უცხო ენის ცოდნის მნიშნელობიდან და პროფესულ ტერმინოლოგიასთან მუშაობის აუცილებლობიდან გამომდინარე სასურველია სამომავლოდ პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო საგნის უცხოენოვანი კომპონენტი, მაგ. საჯარო პოლიტიკის ანალიზი ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, რომ აქტიური შეხება ქონდეთ პროფესიულ ტერმინოლოგიასთან უცხო ენაზე.

2019 წლიდან პროგრამიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსი სტატისტიკა საჯარო მოხელეებისათვის და ის ჩანაცვლდა სასწავლო კურსით კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, ასევე ცალკე საგნად ჩამოყალიბდა აკადემიური წერა.

პროგრამის კურიკულუმს ასევე დაემატა ახალი სავალდებულო საგანი მუნიციპალური სერვისების მართვა, რომელიც შინაარსობრივად მოიცავს როგორც სოციალური, ასევე, ტექნიკური მუნიციპალური სერვისების ფორმების და მართვის თემატიკას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - https://gipa.ge/res/docs/სასწავლოპროცესისმარეგულირებელიწესები16.10.2019FINAL.pdf
- დაწესებულების ვებ-გერდზე არსებული ინფორმაცია
- მმართველობის სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი # 252

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია სამომავლოდ პროგრამის კურიკულუმს დაემატოს სავალდებულო საგნის უცხოენოვანი კომპონენტი, მაგ. საჯარო პოლიტიკის ანალიზი ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს, რომ აქტიური შეხება ქონდეთ პროფესიულ ტერმინოლოგიასთან უცხო ენაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| |

| |
|---|
| ## 2.3. სასწავლო კურსი |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.<br>სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას (რამდენიმე საგნის გარდა), რომელიც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსში მოცემული სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სასწავლო კურსის შინაარსი დაფუძნებულია ძირითად გამოყენებულ ლიტერატურაზე, რომელიც თავის მხრივ აისახება სწავლის შედეგებზე.<br>აღსანიშნავია, რომ 2018 წლის აკრედიტაციის პროცესის გათვალისწინებით, პროგრამის შემადგენელმა რამდენიმე კურსმა განიცადა ცვლილება, კერძოდ:<br>კორექტირდა პოლიტიკის ანალიზის კურსი და ის მოერგო მაგისტრატურის საფეხურის აღმწერს;<br>განახლდა სამართლის საფუძვლების სასწავლო კურსის სასწავლო ლიტერატურა;<br>ეკონომიკის პრინციპების სასწავლო კურსს სავალდებულო ლიტერატურად მიეთითა ბლანშარის მაკროეკნომიკა.<br><br>2020 წლის ივნისის თვეში განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, კერძოდ:<br>სასურველია სასწავლო კურსს სამართლის საფუძვლები გაეზარდოს კრედიტების რაოდენობა, რადგან 4 კრედიტისთვის განკუთვნილი დრო არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა წარმატებით დაძლიონ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო თემები.<br>სასურველია, ასევე გაიზარდოს აკადემიური წერისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა რადგან სტუდენტებს გაუჭირდებათ 2 კრედიტისთვის გამოყოფილ დროში სილაბუსით მოცული საკითხების საფუძვლიანი ათვისება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;<br>○ მმართველობის სკოლის აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი #252 |
| **რეკომენდაციები:** |

სასურველია სასწავლო კურსს სამართლის საფუძვლები გაეზარდოს კრედიტების რაოდენობა, რადგან 4 კრედიტისთვის განკუთვნილი დრო არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა წარმატებით დაძლიონ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო თემები.

სასურველია, ასევე გაიზარდოს აკადემიური წერისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა რადგან სტუდენტებს გაუჭირდებათ 2 კრედიტისთვის გამოყოფილ დროში სილაბუსით მოცული საკითხების საფუძვლიანი ათვისება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამით გათვალისწინებულია თვითმმართველობის ლაბორატორია როგორც პრაქტიკული კომპონენტი, რომლის მიზანია, სტუდენტებმა მიიღონ პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნა თვითმმართველობის საკითხებში; სხვადასხვა მუნიციპალიტეტების პრაქტიკული ქეისების განხილვისას გაეცნონ განხორციელებულ პროექტებს გააანალიზონ პრაქტიკაში არსებული რეალობა; შეაფასონ მუნიციპალიტეტების საქმიანობა სხვადასხვა სფეროში და მათი რესურსების გათვალისწინებით შეძლონ ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება; გამოიმუშავონ თვითმმართველობის საკითხების კრიტიკული ანალიზის და სინთეზის, ლოგიკური, სწორი და არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარი; შეძლონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.<br>თვითმმართველობის ლაბორატორიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები სტუდენტებს უტარებენ სემინარებს. კურსის ფარგლებში ტარდება პრაქტიკული სემინარი შემდეგ საკითხებში: მუნიციპალური ტრანსპორტი; ინფრასტრუქტურა; მუნიციპალური ნარჩენების მართვა; გარემოს დაცვა; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება; კულტურული მემკვიდრეობა; სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და გეგმები; ბიუჯეტირება; პრიორიტეტების დოკუმენტი; მუნიციპალური სოციალური მომსახურება; სკოლამდელი აღზრდა; სკოლისგარეშე დაწესებულებები; სპორტი და კულტურა; ახალგაზრდული საქმიანობა; მოქალაქეთა ჩართულობა და სხვა.<br>ლაბორატორიის კოორდინატორების მხრიდან ხდება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში იმ დროისთვის აქტუალური თემების შერჩევა და სტუდენტებთან მუნიციპალიტეტების თანამდებობების პირების შეხვედრის ორგანიზება რეალური ქეისებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და სტუდენტებისათვის შესაბამისი დავალების მისაცემად, რის ფარგლებშიც სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა ადგილზე მოიძიონ ის ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც მათ გეგმის შემუშავებაში დასჭირდებათ, ასევე შეხვდნენ სამსახურების წარმომადგენლებსა და მოსახლეობას. დოკუმენტების ანალიზისა და საჯარო მოხელეებთან და მოქალაქეებთან შეხვედრის შემდეგ სტუდენტები აანალიზებენ პრობლემებს, სახავენ გადაჭრის გზებს და შემდგომ ადარებენ თავიანთ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ რეალურ ქმედებებს. აღნიშნული შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, რომ დაინახონ კავშირი თეორიასა და პრაქტიკას შორის.<br>პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი ითვალისწინებს ასევე დაშვების წინაპირობებს, რაც მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ადგილობრივი თვითმმართველობა და საჯარო მმართველობა; ეკონომიკის პრინციპები; სამართლის საფუძვლები; კულტურული მემკვიდრეობა და ქალაქის პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკის ანალიზი; რეგულირების გავლენის შეფასება;<br>თუმცა თავად პრაქტიკული კომპონენტის თავისებულრებებიდან გამომდინარე სასურველია, წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს ასევე მუნიციპალური სერვისების მართვის სასწავლო კურსიც, რადგან სტუდენტებისათვის მიცემული დავალებების დიდი წილი სწორედ მუნიციპალურ სერვისებს უკავშირდება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსი |
| **რეკომენდაციები:**<br>პრაქტიკული კომპონენტის თავისებულრებებიდან გამომდინარე სასურველია, წინაპირობების ჩამონათვალს დაემატოს ასევე მუნიციპალური სერვისების მართვის |

| |
|---|
| სასწავლო კურსიც, რადგან სტუდენტებისათვის მიცემული დავალებების დიდი წილი სწორედ მუნიციპალურ სერვისებს უკავშირდება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
